დანართი 1
დამტკიცებულია
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის --- იანვრის
N---------- ბრძანებით

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის ფარგლებში
მონაწილეობის მსურველ პირთათვის

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“.

2. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამა გულისხმობს შაბათი-კვირა და უქმე დღეების გარდა, მინიმუმ 6-საათიან დღიურ მომსახურებას, მათ შორის: ბენეფიციართა საჭიროებების (შემეცნებითი, ფიზიკური და ქცევით-ემოციური) დადგენას, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელებას, რეფერირებას შესაბამის უწყებებში; ბენეფიციარების საყოფაცხოვრებო და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება/ხელშეწყობას; ბენეფიციართა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფას; ბენეფიციარების დღის სწორად დაგეგმვას, ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების შესწავლას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის და კონფლიქტის არაძალადობრივი გზით მოგვარების უნარ-ჩვევების სწავლებას; საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარებისა და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზებას.

ქვეპროგრამა გათვალისწინებულია 40 ბენეფიციარზე, ორჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი და ერთი საუზმე/ სამხარი.

დღის ცენტრი დაიყოფა ასაკობრივ ჯგუფებად: 6-დან 12 წლამდე და 12-დან 16 წლამდე მოზარდები.

მომსახურეობა განხორციელდება მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ, რომელშიც შედიან: პედაგოგი, ფსიქოლოგი, ქცევის თერაპევტი, პედაგოგის დამხმარე და სოციალური მუშაკი. მათ მიერ თითოეულ ბავშვზე შემუშავებული იქნება 6 თვიანი ინდივიდუალური განვითარების გეგმა, რომელიც 6 თვის შემდეგ გადაისინჯება.

ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე, გათვალისწინებულია მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა ბავშის აღზრდის პროცესში, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგიურ დახმარებას და ადვოკატირებას.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2024 წლის იანვრიდან 2024 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან ქ. ბათუმში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლების, ძალადობის მსხვერპლი და რეინტეგრირებული ოჯახების, შშმ პირთა ოჯახების (ორივე ან ერთ-ერთი მშობელი არის შშმ პირი), ასევე, იმ მოწყვლადი კატეგორიის ოჯახების

ბავშვები, რომლებიც არ მონაწილეობენ სხვა პროგრამებში და რომლებიც რეგისტრირებული არიან ქ. ბათუმში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

5. „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველმა დაწესებულებებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. N10; ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მიღების სურვილის თაობაზე;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მუშაობის გამოცდილება ანალოგიური მომსახურების სფეროში არანაკლებ ორი წელი;

დ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტები;

ე) ბენეფიციარმა მომსახურეობა უნდა მიიღოს დღის ცენტრში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- დღის ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ფართობი - საშუალოდ 3 კვ.მ ერთ პირზე; სამზარეულო; გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; შესაბამისი შენობა-ნაგებობა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის/იჯარის შემთხვევაში - საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი,/უზურფრუქტის შემთხვევაში უზურფრუქტის დამადასტურებელი დოკუმენტი). ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით, შესაბამისი ფოტო-სურათების, ნახაზების და ა.შ. თანდართვით.

დაფინანსება უნდა განხორციელდეს ფაქტიური დღეების ხარჯზე, ერთი დღე პირისპირ - 18 ლარი.

„მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა“ ქვეპროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია მერიის ვებ-გვერდზე www.batumi.ge..

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ტელეფონი: (0244) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.